პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 80 (19821) კვირა, 5 აპრილი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

18 აპრილს—ყველანი კომუნისტურ შაბათობაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ვ. ი. ლენინის დაბადების 117 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ და ფართოდ უჭერენ მხარს მოსკოვის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ ინიციატივას — 1987 წლის 18 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 117 წლისთავის აღსანიშნავი კომუნისტური შაბათობა. შრომითი კოლექტივები, აზორციელებენ რა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, კისრულობენ ვალდებულებებს, რომ შაბათობაზე მიაღწიონ დიდ შრომითს ნაყოფიერებას, იმუშაონ დაზოგილი რესურსებით, მასალებითა და ნედლეულით, გამოუშვან მაღალხარისხოვანი პროდუქცია, გამომუშავებული სახსრები კი გადარიცხონ მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში.

რესპუბლიკის მშრომელთა დიდი პატრიოტული და შრომითი განწყობილება, შრომითი ენერგიის ახალი მოზღვავება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელამაჯმშენებლის“ კოლექტივმა ა. ოყოროშიძის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის ინიციატივით ვალდებულება იკისრა შაბათობის დღეს იმუშაოს მხოლოდ წლის დამდეგიდან დაზოგილი რესურსებით და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

მშრომელები, რომლებიც დასაქმებული არ არიან წარმოების სფეროში, მოსწავლეები და სტუდენტები აქტიურად იმუშავებენ დასახლებული პუნქტების ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის, შეაგროვებენ ჯართს, მაკულატურას, გადმოტვირთავენ ვაგონებს და ა. შ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს გამალონ მიზანმიმართული მუშაობა იმისათვის, რომ დარაზმონ მშრომელები, რათა მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე მოაწყონ ლენინური კომუნისტური შაბათობა, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, მასების დიდი შრომითი აღმავლობისა და შრომითი აქტიურობის ვითარებაში შაბათობის მოწყობის უზრუნველსაყოფად.

კომუნისტური შაბათობის მომზადება-მოწყობისათვის მთელი მუშაობა უნდა დაექვემდებაროს მზარდ მეცადინეობას, რომლის მიზანია რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის გამიზნული გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულების შესრულება, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტა.

შრომითი კოლექტივები მიზნად უნდა ისახავდნენ ყველა არსებული საწარმოო პოტენციალისა და რესურსის უფრო რაციონალურ გამოყენებას, სწრაფი შრომის რიტმისა და პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას; ყველა სამუშაო ადგილზე უნდა შეექმნათ დიდნაყოფიერი შრომის, დაზოგილი ნედლეულით, მასალებით, სათბობით, ენერგიით მუშაობის საჭირო პირობები; უზრუნველყოთ ქალაქების, სოფლების, დაბების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის მუშაობის ფართო ფრონტი.

შაბათობის მომზადება-მოწყობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყროს იმას, რომ შეექმნას ყველა საჭირო პირობა, რათა განხორციელდეს ამასწინანდელი სტიქიური უბედურების შედეგების შემდგომი ლიკვიდაციისათვის გამიზნული სამუშაოები, კეთილმოწყოს დასახლებული პუნქტები, გზები, საცხოვრებელი სახლები, კომუნიკაციის საშუალებები და სხვა ობიექტები. დახმარება უნდა გაეწიოთ დაზარალებული რაიონებიდან ახალ საცხოვრებელ ადგილზე გახიზნულ ოჯახებსა და ადამიანებს.

საქინფორმს, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ სახტელერადიოს, მასობრივი ინფორმაციის ყველა ორგანოს წინადადება მეეცათ ფართოდ გააშუქონ კომუნისტური შაბათობის მომზადება-მოწყობა, გასაგებად ასახონ მოწინავეებისა და საუკეთესო კოლექტივების გამოცდილება, დიდი შედეგების მიღწევის გზები და მეთოდები, პროპაგანდა გაუწიონ მშრომელთა თავდადებული შრომისა და შემოქმედებითი აქტიურობის კონკრეტულ მაგალითებს.

შაბათობის დღეს მთელი გამომუშავებული ხელფასი და მიღებული მოგება გადაირიცხება მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კომუნისტები, მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მაღალ დონეზე მოეწყოს ვ. ი. ლენინის დაბადების 117 წლისთავის აღსანიშნავი კომუნისტური შაბათობა, თავიანთი შრომით ცხადყოფენ კომუნისტურ მრწამსს, მტკიცე გადაწყვეტილებას — განუხრელად განახორციელონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ნოვატორობა სკოლაში

მეარხთან იწყება ჩვენი იმედები, სიხარული და მღელვარება

ბასკოლელ წელი მთავრდება. უკან დარჩა სამი სასწავლო მეოთხედი. ახლა საკმარისი საფუძველი გვაქვს, რათა ვიმსჯელოთ, რა მოხერხდა, სად დავუშვეთ შეცდომა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის რომელი რგოლები უნდა წამოწიოთ, განვამტკიცოთ.

რეფორმის გრაფიკის მიხედვით წელს ამოქმედდა ახალი სასწავლო გეგმა და დახვეწილი პროგრამები. მილიონ 700 ათასი ექვსი წლის პატარა პირველად ეზიარა სასკოლო მრომას. უფროსკლასელები კი ეუფლებიან ახალ საგნებს: „წარმოების საფუძვლები. პროფესიის არჩევა“, „ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია“, „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“.

ჩვენი სკოლის განახლება გრძელდება, მაგრამ უწინდებურად ძალზე ნელა, ვიდრე ამას ცხოვრება მოითხოვს. სიახლეები ყველგან როდის ორგანიზაციულად საკმაოდ უზრუნველყოფილი, მათ ბევრი ხიძნელე აფერხებს.

რეფორმა მომთხოვნელად ცდის სახალხო განათლებისადმი ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს, პედაგოგიკის მეცნიერების საფუძველიანობას. და თავს იჩენს ძველი გასაჭირი: განათლების ორგანოების უუნარობა (ზმირად კი სურვილის უქონლობა) მხარი დაუჭირონ მასწავლებლების შემოქმედებითის ძიებას, მისი მოუმზადებლობა, რათა დაძლიონ ინსპექტორული ფორმალიზმი, რაც პედაგოგიური ინიციატივების გაღიზიანებას იწვევს.

ბევრს ელოდნენ სკოლები სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიისაგან. აკი მისმა ხელმძღვანელებმაც განაცხადეს, რომ აკადემიის მუშაობა მტკიცედ გარდაიქმნა და მიუახლოვდა ცხოვრების მოთხოვნებს. მაგრამ რა ფასი აქვს ამ გარდაქმნას, თუ სკოლა უწინდებურად არ არის შეიარაღებული საშუალო განათლების მთლიანი კონცეფციით და იძულებულია იმუშაოს სასწელდახელოდ გადაკეთებული პროგრამებით, ინფორმაციული გადატვირთვის რეჟიმით. რა ფასი აქვს აკადემიურ შრომებსა და დამაიმედებელ ანგარიშებს, თუ უკრაინის ერთ-ერთი საუკეთესო სოფლის სკოლის სახნოვსკის ათწლედის მასწავლებლები, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი ა. ზახარენკო, გაზეთის ფურცლებზე იხვეწებიან: „დაგვეხმარე, მეცნიერებავ, დაგვეხმარე, რომ ყველა ბავშვი გაიტაცოს ცოდნამ. ასწავლე მასწავლებელს, როგორ მოახერხოს ეს. პროგრამა, სახელმძღვანელი, ამოცანების კრებული ისე შეადგინე, რომ ბავშვს მოუნდეს ამოხსნას შემდეგი ამოცანა და წაიკითხოს შემდეგი ფურცელი. შესძელი, რომ გაკვეთილი, სახელმძღვანელო მოსაწყენი არ იყოს მოსწავლისათვის“. მეტისმეტად სმენადსმული უნდა იყო, რომ ასეთი მუდარის მოსმენა გვჭირდებოდეს. ცნობისათვის: აკადემიის შტატში 1638 მეცნიერი თანამშრომელი, აქ იყო 13 ინსტიტუტი, ამას წინათ კიდევ ორი გაიხსნა.

საჯაროობა საშუალებას გვაძლევს ახლებურად დავინახოთ და გავიაზროთ ყველა ჩვენი შესაძლებლობა. ქვეყნისათვის ნამდვილი აღმოჩენა გახდა ნოვატორ მასწავლებლებთან ტელეშეხვედრები. მილიონობით ადამიანი დარწმუნდა: მოწინავე პრაქტიკოსი მასწავლებლების გამოცდილებამ გადაჭრა სწავლებისა და აღზრდის უძნელესი პრობლემები. ნოვატორთა კლასებში ყოველ მოსწავლეს შეუძლია „წარმატებით ისწავლოს“. აქ არ იციან, რა არის სწავლით გადაღლა. ბავშვები გაკვეთილზე სიხარულით მუშაობენ, მოაზროვნე, ქმედით, შრომისმოყვარე ადამიანებად იზრდებიან.

ექსპერიმენტატორების შექმნილი სწავლების მეთოდიკა ათწლეულობით დაძაბული პრაქტიკული ძიებითა და განათლების დარგის რუტინიორებთან და ბიუროკრატებთან ხანგრძლივი ბრძოლის გამოცდილებით არის შემოწმებული. სამართლიანია, რომ ექსპერიმენტატორ მასწავლებლებს მრავალი მკითხველი თავის წერილებში გარდაქმნის მებრძოლებს უწოდებს.

ჩვენი სკოლა მდიდარი და ძლიერია ასეთი მებრძოლებით — სახალხო და დამსახურებული მასწავლებლებით, მეთოდისტებით, პედაგოგიური შრომის ოსტატებით. მათი აზრი ყოველთვის რაღაცას ეძიებს, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობამ არ იცის კომპრომისები, მასწავლებლის საქმის თავდადებულ სამსახურში პოვებენ შთაგონებას. მაგრამ მათ ყოველთვის როდი უგებენ და უჭერენ მხარს. ზოგიერთი კოლეგა, რომლებსაც აკმაყოფილებთ შეძენილი მეთოდიკური ბაგაჟი, ალმაცერად უყურებს მოღვაწეთა დაუხრეველ შრომას. სხვების აზროვნებაში თავს იჩენს ახლო წარსულის მემკვიდრეობა — პროცენტომანია, ფორმალიზმი, მოჩვენებითობა. სკოლის სარიულზე, სამასწავლებლოში იმართება შემოქმედებისა და რუტინის ხელჩართული ბრძოლა, რომელიც ყოველთვის როდია აშკარა, მაგრამ არ ანელებს მის სიმწვავეს. ვინ გაიმარჯვებს — მაძიებელი აზრი თუ წარსულის ინერცია, — დამოკიდებულია სკოლის კომუნისტებზე, პროფკავშირულ ორგანიზაციაზე. საზოგადოებრივი აზრის შეკავშირებულმა ძალამ უნდა დაიცვას პედაგოგიური ნოვატორობა, საკადრისი პასუხი გასცეს კონსერვატიზმს, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი — სკოლის შიგნიდან თუ გარედან.

მერხთან იწყება ყოველივე ის, რაც გვახარებს, საზრუნავს გვიჩენს, გვაუწუხებს და გულს გვტკენს. გაკვეთილების სიჩუმეში, პიონერულ და კომკავშირულ საქმეებში, საშინაო დავალებებში, სავარჯიშო რვეულებში, საკონტროლო სამუშაოებში მწიფდება ჩვენი ხვალინდელი დღე; მასწავლებლის შემოქმედებითი აქტიურობა მარტო სასწავლო დავალებების გადაწყვეტის უნარით როდი ფასდება — იგი ზრდის ნორჩ მოქალაქეებს, რომლებმაც არასტანდარტულად უნდა იაზროვნონ და იმოქმედონ, იყვნენ ცხოვრების გარდამქმნელები.

შემოქმედება უნდა ისწავლო. იმედისმომცემი ინიციატივა გამოიჩინეს პოლტავის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური ოსტატობის კათედრის მასწავლებლებმა, განაზოგადეს რა პედაგოგიკის გამოკვლევებისა და სასკოლო პრაქტიკის საუკეთესო გამოცდილება, აქ მოამზადეს და გამოსცეს ერეული, საქმიანი დამხმარე სახელმძღვანელო „პედაგოგიური ოსტატობის საფუძვლები“. წიგნი ორასი ფურცლისაგან შედგება, მაგრამ ყოველი ფურცელი მჭიდროდ არის დაკავშირებული სკოლის დღევანდელ რეალიებთან, ყოველი ფურცელი ასწავლის მომავალ მასწავლებელს, როგორ დაძლიოს შემოქმედებითად სასწავლო-აღმზრდელობითი პრობლემები.

შემოქმედებას მხარდაჭერა სჭირდება. ეს უნდა ახსოვდეს სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ინსპექტორს, სკოლის ხელმძღვანელს, ინსპექტორს, ბიბლიოთეკარს, ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფს, ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფ-ინფორმატორ, ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფ-ინფორმატორ-ბიბლიოფილ-ბიბლიოლოგ-ბიბლიოფობ-ბიბლიოფეტიშ-ბიბლიოფეტიშ-ბიბლიოფეტიშ

გარდავქმნათ პარტიის კადრების მომზადება

(დასასრული)

მასშტაბი. მოსწავლეთა კონტინგენტს სულ უფრო მეტად უნდა შეადგენდნენ პარტიული აპარატის ახალგაზრდა მუშაკები, განსაკუთრებით პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების ინსტრუქტორები, პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლებული მდივნები, რომელთა შორისაც უმაღლესი პარტიულ-პოლიტიკური განათლება აქვს შესაბამისად მუშაკთა მხოლოდ 6 და 10 პროცენტს. ამავე დროს დღეს უსწრაფესად უნდა გადაიჭრას სხვა დონის კადრების სწავლების ამოცანა. 1986 წელს, მაგალითად, პარტიულ უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები — 410-ით მეტი, ვიდრე ორი წლის წინათ. თათბირმა ცნო, რომ ასეთი მიდგომა სწორია.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ უმაღლეს პარტიულ სკოლებში უმაღლესი განათლების ბაზაზე შექმნილი სწავლების ფორმები და ვადები საშუალებას იძლევა მსმენელებმა შეიძინონ ფუნდამენტური ცოდნა იმ მოცულობით, რომელიც კადრების თანამედროვე იდეურ-პოლიტიკურ მომზადებას სჭირდება. გამოითქვა აზრი, რომ გაფართოვდეს და გაღრმავდეს უმაღლეს პარტიულ სკოლებში საშუალო განათლების კადრების მომზადება. მან მსმენელებს უნდა მისცეს უმაღლესი პარტიულ-პოლიტიკური განათლება, გააფართოოს მოწინავე მუშათა და კოლმეურნეთაგან ხელმძღვანელი კადრების მომზადება.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჯაროობა, არჩევითობა, ქვემოდან კონტროლი, ატესტაცია, სხვა დემოკრატიული ფორმები და მეთოდები უნდა ვრცელდებოდეს კადრების სწავლებაზე, მათი მომზადების მთელ საქმეზე. ცენტრალური კომიტეტი ხელს უწყობს კადრების ჰორიზონტალური გადაადგილების პროცესს, ითვალისწინებს თხოვნას პასუხსაგებ პოსტებზე სხვა რეგიონებიდან დანიშნულების წესით მათი დანიშვნის შესახებ. ამავე მიმართულებით იწყებენ მუშობას უმაღლესი პარტიული სასწავლებლებიც. მკვეთრად გაფართოვდა მიღება სარეგიონთაშორისო საფუძველზე. ეს კი გადაწყვეტს საკადრო პოლიტიკაში ინტერნაციონალურ ამოცანებს, შეესაბამება რეზერვის ფორმირებაში პროგრესულ ტენდენციებს.

მოხსენებასა და ორატორთა გამოსვლებში დიდი ყურადღება დაეთმო პარტიული, საბჭოთა და იდეოლოგიური ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების გამოცდილების ფართო და სისტემატური სწავლების საფუძველზე კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას. უმაღლეს პარტიულ სასწავლებლებს აქვთ მრავალმხრივი კავშირურთიერთობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან, გამოცდილების შესწავლის ტრადიციები, ეძებენ მისი გავრცელების ახალ გზებსა და ფორმებს. მაგრამ აქ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი. უწინარეს ყოვლისა შეინიშნება ჩამორჩენა ახალი გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებაში. ამიტომ მიზანშეწონილად არის მიჩნეული ამ საქმის ორგანიზაციისას ვეყრდნობოდეთ პარტიული სასწავლებლებისა და კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტების გრძელვადიან ერთობლივ პროგრამებს. პარტიული, საბჭოთა, იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების ინსტიტუტი, რომელიც აკადემიის შემადგენლობაში შედის, შეასრულებს სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრის როლს. მტკიცდება უმაღლესი პარტიული სკოლების ლაბორატორიები. იქმნება სოციალური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების, მასობრივი გამოკითხვის მოწყობის შესაძლებლობა. შემოღებული იქნება პარტიულ კომიტეტებში მასწავლებლების, ასპირანტებისა და მსმენელების შტატიანი სტაჟირება.

თათბირზე ყოველმხრივ განხილულ კადრების საკურსო სწავლების საკითხები. ითვალისწინებს რა ჩვენი განვითარების დინამიზმს, ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია ხუთი წლის განმავლობაში ორჯერ დაახლოებით 2-3 კვირის ვადით მუშაკთა მასობრივი გადამზადების შემოღება. უმაღლესი პარტიული სკოლის კურსები გარდაიქმნება კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებად. არსებითად უნდა განვითარდეს პარტიულ კომიტეტებთან არსებული კურსები, მათი ბაზა და შტატები. წამოყენებულია კონკრეტული წინადადებანი ქირეული აქტივის სწავლების თაობაზე. კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში ნიადაგ უნდა შეგვქონდეს ყველაზე საყურადღებო რამ გამოცდილებიდან, ყველაზე მოწინავე იდეები, ვმართავდეთ დისკუსიებს მათი აპრობაციისა და ცოდნის გაღრმავებისათვის, ვუთმობდეთ ტრიბუნას საუკეთესო სპეციალისტებს, პარტიისა და სახელმწიფოს მუშაკებს.

სპეციალურად განიხილეს ხელმძღვანელი კადრების სწავლების გაუმჯობესების, შინაარსის ახალ დონეზე აყვანის ღონისძიებათა კომპლექსი. ეს არის უმაღლესი პარტიულ სასწავლებლების, უწინარეს ყოვლისა, რექტორატებისა და პარტიული ორგანიზაციების, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ცენტრალური და მთავარი ამოცანა.

პარტიის აპრილის პლენუმმა, XXVII ყრილობამ სინამდვილის თეორიული გააზრების ახალი გეზი შექმნეს. საზოგადოებრივი მეცნიერებანი უბრუნდებიან წარსულისა და აწმყოს ზუსტი შესწავლის ნიადაგს. გარდაქმნის საზოგადოებრივმა პროცესმა წარმოშვა სიტუაცია, როცა მრავალი საკითხის შესწავლა ძველი პოზიციებიდან უკვე შეუძლებელია, საჭიროა ღირებულებათა გარკვეული გადაფასება, სწავლების მთელ რიგ მიმართულებათა თეორიული და მეთოდიკური დამუშავება. მოხსენებაში, პარტიის უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა, კათედრების გამგეთა გამოსვლაში გამოითქვა მთელი რიგი პრინციპული დებულებანი.

უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემადგენელი ნაწილებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილების შესწავლაში ერთიანობის პრინციპის დაცვას. ამ პრინციპმა გაუძლო დროის, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის გამოცდას. კადრების თეორიული მომზადების დონის, შემდგომი ამაღლების ბაზისია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის სისტემატური შესწავლა და მისი შერწყმა ახალი პრობლემების ღრმა გაშუქებასთან. ხაზგასმით აღინიშნა, რომ დადგა დრო ფილოსოფიის დარგში უწოგნურობის ლიკვიდაციიდან გადავიდეთ იმაზე, რომ ხელმძღვანელ კადრებს ვასწავლოთ, როგორ განაზოგადონ მეცნიერულად და მსოფლმხედველურად სინამდვილე. პარტიის კადრები კარგად უნდა ერკვეოდნენ მეთოდოლოგიის საკითხებში. ხედავდნენ და იყენებდნენ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ამ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ცალკეულ მეცნიერებათა კერძო მეთოდოლოგიების მიმართ.

საჭიროა დავძლიოთ უძრაობა ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკურ-ეკონომიკურ მომზადებაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ სამეურნეო მექანიზმში მიმდინარე პროცესების ღრმა შესწავლას, ანალიზის თანამედროვე მეთოდების დაუფლებას. სრულიად ახალი ამოცანები დგება საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში მზარდი პროცესების გააზრებაში.

საჭიროა ავითვისოთ მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლის, თანამედროვეობის ძირითადი პოლიტიკური ძალების განაწილებისა და საზოგადოებრივ პროცესში მათი როლის, ორი საზოგადოებრივი სისტემის იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებების ახალ შეფასებათა მთელი სიმდიდრე.

პროფესიონალიზაციის საძირკველია პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხთა შესწავლა. პარტიული მშენებლობის სპეციალისტებმა ბოლო წლებში დიდი ჯაფა გასწიეს, რათა ამ დისციპლინას შეეძინა მეცნიერული სიზუსტე საგნის განსაზღვრაში, პარტიის განვითარების კანონზომიერებათა გამოვლენაში. მაგრამ პარტიულ მუშაკებს — და ეს აღნიშნეს ორატორებმა — არ აკმაყოფილებთ პარტიული მშენებლობის კურსის შინაარსი.

პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ავტორებს, მეცნიერებსა და მასწავლებლებს ჯერჯერობით აკლიათ პარტიის განვითარების პროცესზე დიალექტიკური შეხედულება. მათ შემდგენლებს ხშირად ავიწყდებათ, რომ რეალურ ცხოვრებაში ყოველგვარი ობიექტურობის სუბიექტური ხდება, ზორცს ისხამს პარტიული კოლექტივების, კომუნისტების საქმიანობაში. მაშასადამე, ავიწყდებათ ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი კადრების სწავლების თვალსაზრისით — უჩვენონ, გააშუქონ ობიექტურიდან სუბიექტურ ფაქტორზე გადასვლა, გამოავლინონ ამ უკანასკნელის როლი და ამოცანები პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნაში. ძალზე ხშირად ჯაჭვიდან ეკონომიკური ფაქტი — პოლიტიკური დასკვნა — საკითხის პარტიული გადაწყვეტის ფორმები მოდის სწორედ საშუალო რგოლზე. ამას მოჰყვება ძველი ფორმების ახალ პირობებზე მორგება, ადმინისტრირება, ქაღალდთმოზველობა და ფორმალიზმის სხვა გამოვლინებები. ამიტომაც საჭიროა ეკონომიკური თეორიის სანიმუშო ჩამოყალიბების მეთოდები, ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდებით სწავლების მეთოდები მივიყვანოთ მსმენელები პოლიტიკურ განზოგადებამდე და ამით ნიმედო პლატფორმა შევუქმნათ პარტიული მუშაობის ფორმების, მოძველებულის აღმოფხვრის, ახლის მხარდაჭერისა და განვითარების შეფასებას.

პარტიული მუშაკის პროფესიონალიზმის ლაიტმოტივია მისი უნარი თავად მუშაობდეს მშრომელთა იდეურ აღზრდაზე, ჰქონდეს იდეოლოგიური მუშაობის მიდრეკილება. ეს მიდრეკილება უნდა ჩამოვაყალიბოთ პარტიული მშენებლობის კურსის შესწავლის დროს, ისე რომ არ დავარღვიოთ მისი მთლიანობა. მოწონება დაიმსახურა გადაწყვეტილებამ უმაღლესი პარტიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებისათვის პარტიული და საბჭოთა მშენებლობის სპეციალობის შემოღების შესახებ.

ახლანდელი მომენტის თავისებურებაა ხელმძღვანელი კადრების აღზრდის იდეურ-პოლიტიკური, კულტურული და ზნეობრივი ასპექტების უჩვეულო დაახლოება. უმაღლეს პარტიულ სასწავლებლებს შეუძლიათ და მოვალენიც არიან ბევრი რამ გააკეთონ პარტიელის სპეტაკი და წმინდა სახისათვის ბრძოლაში. დიდი ინტერესი გამოიწვია იმან, რომ პარტიული უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებში შეტანილია ახალი საგანი — სოციალისტური კულტურის საფუძვლები.

კრიტიკულად შეფასდა მეცნიერული მუშაობის დაყენებაში უმაღლესი პარტიული სასწავლებლების საქმიანობა. აღინიშნა, რომ აკადემიისა და უმაღლესი პარტიული სკოლების სამეცნიერო კოლექტივებს საერთო ნაკლი აქვთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევის განვითარებაში, რომლებიც აღინიშნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებების, ჟურნალ „კომუნისტის“ შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში, ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების თათბირზე. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მთ პარტიის, მისი ხელმძღვანელი როლის, სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის განვითარების კანონზომიერებათა კვლევისათვის.

უმთავრესი საკითხია პარტიული უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კადრები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ იმათი მომზადების ხარისხს, ვისაც დაეკისრება წინ წასწოლის გარდაქმნა, უზრუნველყოს დაჩქარება. მაგრამ დღეს აკადემიაშიც, პარტიულ სკოლებშიც არიან მასწავლებლები, რომლებიც ჩამორჩებიან დროის მოთხოვნებს, უნარი არ შესწევთ ნამდვილად ახალი ნაკადი შეიტანონ ლექციებისა და მეცადინეობის შინაარსში, გაზარდონ მომთხოვნელობა მსმენელებისადმი, გარდაქმნან სწავლების მეთოდიკა. იზრდება დაბერების პროცესი. ცოტა მასწავლებელია მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. გამოცდილი მასწავლებლები სუსტად ამზადებენ სამეცნიერო ცვლას. არადა, თუ გავითვალისწინებთ კადრების მომზადების მოცულობის მკვეთრ ზრდას, გადავსინჯავთ სასწავლო-პედაგოგიური დატვირთვის ნორმატივებს, არსებითად, 2-2,5-ჯერ უნდა გაიზარდოს მასწავლებელთა რიცხვი.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს პარტიის უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების როლი. საამჩარო ორგანიზაციების პარტკომები და ბიუროები, პარტჯგუფები ჯერ კიდევ სუსტ გავლენას ახდენენ სასწავლო-მეთოდიკური, სამეცნიერო-კვლევითი, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებაზე, მსმენელთა მომზადების ხარისხზე. მათი საქმიანობა არ გადაქცეულა ხელმძღვანელი კადრების აღზრდის ნამდვილ სკოლად. ცოტაა კონკრეტულობა, დაბალია მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგიანობა. ყოველდღე მიეპყრო იმას, რომ პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან შექმნან ნამდვილად ამხანაგური, მორალურ და პოლიტიკურ სიჯანსაღეზე დაფუძნებული ურთიერთობა მასწავლებელთა და მსმენელთა კოლექტივებში.

თათბირის მონაწილენი ერთსულოვანი იყვნენ იმაში, რომ კადრების მომზადებისა და გადამზადების მთელი სისტემა პარტიის ეფექტიანი ინსტრუმენტი უნდა გახდეს ახალი ტიპის ხელმძღვანელ მუშაკთა აღზრდაში, რომლებიც წარმატებით გაუძღვებიან გარდაქმნას, რეალურ შედეგებს მიაღწევენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში.

თათბირში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ვ. ა. გრიგორიევი, ი. ა. სკლიაროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი ნ. ე. კოჩინა, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ა. დ. ლიზიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდესი).

ისევ აღზარდე შენ შვილის სული...

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესები მიმდინარეობს; მიმდინარეობს ქვეყნის თვისებრივი განახლების რეალური გზების მზარდი, ენერგიული ძიება, როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სფეროში. ეს ყოვლისმომცველი ძიების პროცესი დაიწყო პედაგოგიკაშიც; უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, გზა მიეცა ამ პროცესს. საქვეყნო ფიქრი გადმოვიდა ნოვატორთა სახელებზე: შატალოვი, ილინი, ამონაშვილი, შეტინინი...

ამონაშვილი... სწორედ, ამ პედაგოგზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა.

რამდენიმე წელია, როგორც სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის თანამშრომელს, ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს პედაგოგიას მეცნიერებათა, მეთოდისტებთან. პირველად აქ გავიგე ამონაშვილის ექსპერიმენტების ამბავი... როგორი მეცნიერია ამონაშვილი, როგორი პედაგოგი, როგორია მისი ექსპერიმენტი? — ვეკითხებოდი ბევრს, ვისთანაც შეხვედრა მიწევდა, მათ შორის საკმაოდ ტიტულოვან მეცნიერებსაც. ჩემდა გასაოცრად, ბევრ მათგანს ირონიული ღიმილი გაუკრთებოდა სახეზე და მომიგებდნენ: აბა, როგორ გითხრათ, რა მეცნიერია ის, ვისაც ერთი სიტყვა არ დაუწერია, ერთი ბროშურაც კი არ გამოუცია... ექსპერიმენტი?! რა ექსპერიმენტია ის, რომელსაც ამდენი წელია ატარებდა ერთი სკოლის მეოთხე კლასს ვერ გასცდენია...

მიკვირდა, მაგრამ იმხანად საშუალება არ მქონდა დავსწრებოდი ბატონ შალვას გაკვეთილებს... და აი, ერთ დღესაც, როცა წიგნის მაღაზიის თარეზზე დავინახე ამონაშვილის „გამარჯობათ, ბავშვებო!“ რუსულ ენაზე, საკუთარ თვალებს არ დავუჯერე. წიგნი სულმოუთქმელად წავიკითხე და ჩემთვის ნათელი გახდა ბევრი რამ... პირველ წიგნს მოჰყვა „როგორ ცხოვრობთ, ბავშვებო?“, „ექვსწლიანთა სწავლება“... მკითხველისთვის ცნობილია ამ წიგნების შეფასება საკავშირო პრესაში, და გაზეთ „თბილისში“, ისიც სწორად აღინიშნა როგორც სამწუხარო ფაქტი, რომ ეს წიგნები მშობლიურ ენაზე ჯერაც არა გვაქვს. არადა, „სკოლა და ცხოვრების“ მიერ მოწყობილი პედაგოგთა ანკეტირების პასუხად მოსული ზღვა წერილებში კითხვაზე — ვისთან შეხვედრას ისურვებდით, უმრავლესობა ერთხმად აცხადებს, შალვა ამონაშვილთანო...

საიდან იღებს სათავეს ზნეობრივი გრძნობა — ჩვენი სულიერი კამერტონი? მას აღზრდა და განათლება ქმნის. ეს კი პედაგოგთან ურთიერთობით იწყება, ეს არის გაკვეთილი. შემოდის პედაგოგი კლასში — მოღუშული, ტუჩებმოკუმული, მრისხანე სახით. განა ბევრ ჩვენგანს დაავიწყდება, როგორ გვეყინებოდა ძარღვებში სისხლი და გაუტოკავებლად მჯდარნი იმ საგანზე კი არ ვფიქრობდით, რომელსაც ის პედაგოგი გვასწავლიდა, ერთი სული გვქონდა, როგორმე, როგორმე გაგვეძლო... ვაი, რომ იმ შეჯავრებული გაკვეთილების ექო დღესაც ხმაობს ჩვენში, დღესაც, ათეული წლების შემდეგაც, შეგვაკრთობს ხოლმე.

მაგრამ გვახსოვს, სულ სხვანაირად გვახსოვს ისინი, ვინც გაღიმებული შემოდიოდნენ კლასში. მათ უდიდესი სიობო შემოჰქონდათ, ჯერ გაგვესაუბრებოდნენ, თავზე ხელს გადაგვისვამდნენ, გულს აგვითრთოლებდნენ, სულს გვიფრთიანებდნენ, გასაფრენად გვამზადებდნენ... ასეთები და მათი სანენბიც ქვეყანას გვერჩია.

შალვა ამონაშვილის გაკვეთილები ბავშვებისათვის პირველ ყოვლისა ადამიანური, სწორედ რომ ადამიანური ურთიერთობაა, რომელსაც ასე ესწრაფვიან ჩვენი ბავშვები და ამ ურთიერთობას ჰუმანიზმი ჰქვია, სულაც არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ეს გაკვეთილები ბავშვებისათვის სულის ცის გახსნაა, სულში სიკეთის ტაძრის აგებაა. ამაზე გამახსენდა: არსებობს ასეთი თქმულება: ერთ კირითხუროს, რომელიც მშენებლობაზე აგურით სავსე ურიკას მიაგორებდა, ჰკითხეს, რას აკეთებო? მშენებლობაზე აგურს ვეზიდებიო, უპასუხა, მეორეს რომ ჰკითხეს, ტაძარს ვაშენებო... სწორედ რომ ასეა, ზოგი მასწავლებელი მხოლოდ გაკვეთილებს ატარებს, სხვანი კი უშინდეს ტაძარს აშენებენ. ამონაშვილი და მისი სკოლა ბავშვებს ასწავლიან უმთავრესს — ადამიანებთან ურთიერთობას. ბავშვების სულს ამისთვის ზრდიან.

„...ისე აღზარდე შენ შვილის სული...“ მოგვიწოდებდა დიდი ილია...

„... რა არის სული? როგორ უნდა აღვზარდოთ ის?

პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიაში ჯერად ვერ შეთანხმებულან „სულის“ გაგებაში, რომ არა პოეტები, შეიძლებოდა ეს სიტყვა სულაც დაგვეკარგა და დღეს მხოლოდ ენის „წითელ წიგნში“ გვეწერა... — წერს „ნოვი მირში“ სიმონ სოლოვეიჩიკი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს არც ისე ბევრი გვყავს ეშმაროტად განათლებული პედაგოგი. სად არის ამ შემაშფოთებელი მოვლენის ფესვები? ყველაფერი ბავშვობიდან იწყება. ბევრი ოჯახის მდგომარეობა არასახარბიელოა. მშობლები მთელი დღე სამსახურში არიან, ოჯახური აღზრდისათვის მათ დრო არ ჰყოფნით. კეთილსასურველი ოჯახური ატმოსფერო, რომლის მნიშვნელობა უსაზღვროა, იშვიათია. ცხადია, მშობლები არიგებენ შვილს: არ იქურდო, არ იცრუო, წესიერად, პატიოსნად მოიქეცი, ისწავლეო, მაგრამ ეს ცარიელი სიტყვებია, არადამაჯერებელი, უზემოქმედო. მშობლებს დროის დეფიციტი ტანჯავთ, ბავშვებს, მათ თოთო სულებს — ადამიანური ურთიერთობები ენატრებათ... ვინ უნდა შეუფასოს ეს დანაკლისი მათ? რა თქმა უნდა, მასწავლებელმა, სკოლამ.

შეუძლია ეს სკოლას?

ორი აზრი ამაზე არ არსებობს: შეუძლია! უნდა შეიძლოს“

„უნდა“ პედაგოგიკაში მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა, ეს არის სინდისის, პასუხისმგებლობის, მასწავლებლის მოქალაქეობრივი პოზიციის პრობლემა. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია— „არ უნდა“, „არ შეიძლება;“ ყოველ პროფესიას აქვს ზნეობაში თავისი სტატუსი და თავისი „არ შეიძლება“!

„...არ შეიძლება პედაგოგი ანგარებიანი, მხდალი, პედაგოგიურ საქმეში სუსტი, უსულგულო, გაუნათლებელი იყო. არ შეიძლება გამოიჩინო სილაჩრე, როცა საქმე ეხება შენი მოსწავლის ინტერესებს... მაგრამ რა უნდა სკოლას? უფრო მწვავედ უნდა დადგეს საკითხი, როგორი უნდა იყოს მასწავლებელი, როგორ გახდეს ის ინტელიგენტი, როგორ დავეხმაროთ მას, რომ განავითაროს თავისი ტალანტი, უნარი, რომ ჩვენ შვილებს ჰყავდეთ ისეთი ადამიანი, ვისაც შეიძლება ენდონ და გაჰყვნენ, მათ შორის „ოფიციალურად ძნელებიც“, რომელთა რიცხვი, სამწუხაროდ, მატულობს“... — წერდა ერთ-ერთ ავტორიტეტულ გაზეთში ი. დემაკოვა.

დღეისათვის უკვე საკმარისი არ არის მხოლოდ შემსრულებლობა. თანამედროვე მასწავლებელი უპირველესად უნდა იყოს ადამიანი, და არა მანქანა, რომელსაც მისცეს პროგრამა და ცდილობს, რომ ეს პროგრამა მოსწავლეს თავში ჩაუდოს. ამიტომაც დაიყენეს პარტიამ და მთავრობამ ასე კონკრეტულად, გარკვეულად ნოვატორ-პედაგოგების, ნოვატორული ძიების საკითხი.

ამას წინათ ჟურნალისტებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს მრავლად დაასახელეს მოწინავე პედაგოგები (მეორომა ნუ ქნას, რომ ისინი მრავლად არ გვყავდეს), მაგრამ ამ სამსაათიან შეხვედრაში ერთი სიტყვა არ დასცდენიათ ამონაშვილზე, მის წიგნებზე, მის ექსპერიმენტზე, მაშინ, როცა წინა დღეებში „უჩიტელსკაია გაზეტაში“, „ლიტერატურნაია გაზეტაში“, ცენტრალური ტელევიზიით აღტაცებით წერდნენ და ლაპარაკობდნენ ქართველი მეცნიერის, ნოვატორი მასწავლებლის წიგნებზე, მისი მუშაობის სტილზე, მის მეთოდზე. სხვა რომ არაფერი, ლამის წელიწადი შესანიშნავად „სემია ი შკოლა“ [illegible] შვილის ახალ წიგნს.

განა დამაფიქრებელი არ არის ისიც, რომ აქ, საირმის ქუჩაზე, ამონაშვილის სკოლაში, როგორც მას ეძახიან კავშირში, მოდიან საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუთხიდან პედაგოგები, მეცნიერები, მეთოდისტები, ფსიქოლოგები, მოდიან ოკეანის გადმიდანაც კი, მაგრამ საირმის ქუჩაზე ყველაზე ნაკლები სტუმარი საქართველოდან არის. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს არც ერთი პედაგოგიური ინსტიტუტის, მათ შორის, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის არც ერთ სტუდენტს პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში პრაქტიკა არ გაუვლია... და, რამდენადაც ვიცით, ყინული გალეზეა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატმა დაავალა შეესაბამის კათედრებს, რომ სტუდენტებმა პრაქტიკა გაიარონ პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში. იმედია, ნოვატორული გამოცდილება ჩვენი მასწავლებლობის საკუთრებად იქცევა და მიმდევრებიც გამოჩნდებიან...

ახლა, როცა ნოვატორებზე ამდენი ითქვა და დაიწერა, ისეთ პედაგოგებს ასახელებენ ნოვატორებად, რომელთაც ნოვატორობასთან არავითარი საერთო არა აქვთ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი ერთობ კარგი პედაგოგები არიან და ერთგულად მისდევენ დადგენილ მეთოდიკურ კონცეფციებს. კარგი პედაგოგი ნოვატორს არ ნიშნავს. კარგი პედაგოგი ათასობით გვყავს, მაგრამ ნოვატორები, არამცთუ საქართველოში, მთელ კავშირში თითზე ჩამოსათვლელია. აი, მათ შორის არის შალვა ამონაშვილი. ნოვატორი რამდენიმე შეიძლება იყოს, მიმდევარი კი მრავალი. ჩვენ გვეჭიდება ნოვატორები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და არა გამოგონილი, ძალად ნოვატორები. ნოვატორობას შესწავლა, განზოგადება უნდა — დაფიქრებული, გააზრებული, გულისხმიერი.

სწორედ ამას მოითხოვს უპირველეს ყოვლისა ყველასაგან, ვისაც ჩვენი სკოლის საზრუნავ-საფიქრალი ეხება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება, რომელშიც ფართოდ და ყოვლმხრივ არის შეფასებული ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის გამოცდილება.

დრო არ ითმენს, დრო თავისას გვთხოვს... ჩამორჩენას არავინ გვაპატიებს და, რომც გვაპატიონ, საქმე არ გვაპატიებს...

ზ. ტაბაღუა

ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ პასუხისმგებელი მდივანი.



სურათზე: შალვა ამონაშვილი.

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

5 აპრილი გეოლოგის დღეა

აპრილში, გაზაფხულის ამ მშვენიერ თვეში, იწყება გეოლოგების ინტენსიური საქმიანობა. ფასდაუდებელია ამ დარგის მუშაკთა წვლილი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში. ჩვენი რესპუბლიკის გეოლოგები დაუღალავად შრომობენ და მათი გარჯის შედეგია სასარგებლო წიაღისეულის მრავალი საბადოს აღმოჩენა, ხალხის სამსახურში ჩაყენება.

ბოლო წლებში რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სასარგებლო წიაღისეულის ახალი მდიდარი საბადოები, წიაღის სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჭიათურის მადანს. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს მუშაკების ამოცანაა გამოავლინონ ნედლეულის ახალი ბაზები „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანებისათვის. მიწისქვეშა სიმდიდრეთა მაძიებლებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ: დასაზვერი სამუშაოების შედეგად ამ რეგიონის მოლიანად დაუმუშავებელ ფართობებზე აღმოჩენილ მაღაროსრისხოვანი მანგანუმის მადნის ახალი მარაგი. ჭიათურის მაღაროთა ნედლეულის ბაზის შემდგომი განმტკიცების მიზნით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საძიებო-სადაზვერვო სამუშაოები ეგრეთ წოდებული ყვირილის დეპრესიის ცენტრალურ ნაწილში, ჭიათურის საბადოთა მიმდებარე სხვა რაიონებში.

რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის უმნიშვნელოვანესი მატერიალურ-სანედლეულო ბაზაა მადნეულის საბადო. რაც შეეხება ქვანახშირის ბაზას, ტყვარჩელის საბადოს კოქსადი ქვანახშირის მარაგის ხვედრითი წილი მცირდება, ტყიბულ-შორის საბადოს გაზიანი ქვანახშირის ხვედრითი წილი კი მატულობს. ამასთან დაკავშირებით გეოლოგიის სამმართველო დაჩქარებული ტემპით აწარმოებს ტყიბულის „დასავლეთის“ შახტის ველის ჩრდილოეთი ფრთის სადაზვერვო სამუშაოებს მისი ექსპლატაციის ვადის კიდევ ოცი წლით გახანგრძლივებისათვის.

წარმატებთან ხორციელდება გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოები იმისათვის, რომ ქუთაისის ლითოფონის ქარხანა უზრუნველყონ ბარიტით, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა — საფლუსე დოლომიტით, ნავთობის მრეწველობა — ბენტონიტური თიხებით, ქიმიური მრეწველობა — ცეოლითებით, დარიშხანთი და სხვა.

გეოლოგების კვლევა-ძიების შედეგად დიდად გაიზარდა მინერალური და თერმული წყლების მარაგიც. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს თერმული წყლების ღრმა საძიებო ბურღვის ექსპედიცია დიდი მოცულობის სამუშაოებს ახორციელებს გეოთერმული წყლების და სხვა არატრადიციული სითბოს წყაროების ძიებისა და გამოვლენისათვის.

ქართველი გეოლოგები არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ უცხოეთშიც გულმოდგინედ შრომობენ. საგაზეთო სტატია გვინდა დავამთავროთ **ალეერში მომუშავე კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის თანამშრომლის მურმან კვინიკაძის წერილით, რომელიც რედაქციამ ამ დღეებში მიიღო:**

„პატივცემულო რედაქციავ! უკვე მესამე წელია, რაც გაზეთი „კომუნისტი“ ტამანრასატში მაქვს გამოწერილი, ყოველი ნომრის მიღება ჩემთვის დიდი სიხარულია, რადგან მისი ფურცლებიდან ვგებულობ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამბებს. იქნებ ჩემი მხრიდან სითამამე იყოს ამ წერილის დაწერა მაგრამ იმედი მაქვს, არ დამრცხავთ, ორიოდე სიტყვით მინდა გაგაცნოთ ქართველი გეოლოგების მიღწევები ალეერში.

ყველასათვის ცნობილია საპარის უდაბნო, ეს სახელი, განსაკუთრებით კი ჰოგარის მთიანი რაიონი, შიშის გრძნობას იწვევდა მოგზაურთა შორის. დღეს კოსმოსური რაკეტების ეპოქაში საპარის უდაბნომ დაკარგა თავისი მრისხანება. თუმცა, კლიმატური პირობების მიხედვით იგი არაფრით არ შეცვლილა.

დღესდღეობით საპარის უდაბნოში ინტენსიური გეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს. მადნეულის მოპოვების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საპარის ცენტრალური ნაწილი — ჰოგარის მთიანი რაიონი — ეგრეთ წოდებული საპარის ქვიანი უდაბნო. ალეერელ გეოლოგებთან ერთად აქ საძიებო სამუშაოებს ეწევიან საბჭოთა გეოლოგები, რომელთა შორის ყოველთვის იყვნენ და არიან ქართველი სპეციალისტებიც. აი ისინი:

ინესა დანელია — პირველი ქართველი ქალი, რომელმაც რამდენიმე სეზონი გაატარა ცენტრალური საპარის ტამანრასეტის ლაბორატორიაში და წარუშლელი სახელი დატოვა. როგორც სპეციალისტმა და როგორც ადამიანმა.

კარლო აქიმიძე, გეოლოგია, მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქართული გეოლოგიური სკოლის სახელოვანი წევრი, კაცი, რომელმაც 4 წელი გაატარა კარავში ნიგრინის საზღვრებთან, მის მიერ შესრულებული სამუ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ



„... მხდალსა განამხნევს,
მხნეს განალვიძებს...“

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲥᲘᲛᲘᲐ უნდა იცოდეს ქიმიკოსმა, ფიზიკა — ფიზიკოსმა, ეკონომიკა — ეკონომისტმა, ისტორია — ისტორიკოსმა, ლიტერატურა — ლიტერატორმა...

ეს აუცილებლად ასე უნდა იყოს (სხვანაირად არც შეიძლება)!

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ

ლევან სანიკიძე, მწერალი, მეცნიერი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ისტორიის კათედრის გამგე, ავტორი ორასამდე სამეცნიერო შრომისა, მრავალი წიგნისა, მონოგრაფიისა, მხატვრული და მეცნიერულ-მხატვრული ნაწარმოებისა. მათ შორის ყველაზე პოპულარულია ტეტრალოგია — „უქარქაშო ხმლები“. ამჟამად იგი მუშაობს ჰეპტალოგიაზე — „შვიდი გიორგი“, რომელთაგან მალე გამოქვეყნდება რომანი „გიორგი ათონელი“.

ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა ლ. სანიკიძის კიდევ ერთი ახალი შრომა ორ წიგნად „დედა ისტორია“ (რედაქტორი პროფესორი გ. ჯამბურია), რომლის პირველ ნაწილს ეწოდება „ოქროს საწმისისდან ბაზალეთამდე“, ხოლო მეორეს „ბაზალეთიდან წიწამურამდე“. „დედა ისტორიის“ მეცხრე კარის ბოლო ფურცლებზე ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი დღეა აღწერილი; მას „ვია დოლოროზა“ ანუ „გზა გლვოვისა“ ჰქვია.

ამ შრომის გამოცემა მწერლის 60 წლისთავს დაემთხვა და იგი კარგი საჩუქარია როგორც ავტორისათვის ასევე მკითხველთათვის.

გთავაზობთ „დედა ისტორიის“ ბოლო ფურცლებს მცირედი შემოკლებით.

მაგრამ არანაკლებ სასურველია, რომ ლიტერატურა და ისტორია (გარდა ლიტერატორისა და ისტორიკოსისა) იცოდეს ქიმიკოსმაც, ფიზიკოსმაც და ეკონომისტმაც.

ვინც თავისი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა არ იცის, რაც უნდა დიდი ქიმიკოსი (გინდ ფიზიკოსი, გინდ ეკონომისტი...) იყოს, არ შეიძლება მას განათლებული კაცი ეწოდოს.

საქართველო მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქვეყანაა. ჩვენ გვყვანან დიდი ისტორიკოსნი; წიგნის თარგებზე მრავლად აწყვია მათი ნაშრომები;

ეს წიგნები დაწერილია სპეციფიკური, სამეცნიერო ენით;

ისინი გამიზნული არიან სპეციალისტებისათვის...

მწერალმა ლევან სანიკიძემ იხელმძღვანელა ამ წიგნებით, გამოიყენა აგრეთვე ძველი ქართველი და არაქართული ისტორიკოსების ნაწერები, ამოკრიფა მათგან არსებითი და ყველასათვის გასაგები ხატოვანი ენით დაწერა ისტორია საქართველოსი.

მისი „დედა ისტორია“ მისივე ფრთოდ გახმაურებული „უქარქაშო ხმლების“ კონდენსაციას წარმოადგენს, რასაც თან ემატება მთელი მეცხრამეტე საუკუნის ისტორიაც.

„უქარქაშო ხმლებთან“ შედარებით ეს წიგნი გაცილებით დახვეწილი და ყოველგვარ ზედმეტობათაგან განტვირთულია.

ავტორი მისთვის ჩვეული მგზნებარებით მოუთხრობს მკითხველს ჩვენი მრავალჭირვარამგადანახადი ქვეყნის თავგადასავალს დასაბამიდან ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე (არაერთი ისტორიული ფაქტი გაანალიზებულია ახლებურად).

წიგნი შედგება ორი ნაკვეთისაგან: 1. ოქროს საწმისიდან ბაზალეთამდე. 2. ბაზალეთიდან წიწამურამდე; შეიცავს ცხრა კარს. ფესვები, ალმართი, მწვერვალები, დაღმართი, ყოფნა-არყოფნა, ბაზალეთიდან ბახტრიონამდე, ბახტრიონიდან ასპინძამდე, ასპინძიდან კრწანისამდე, კრწანისიდან წიწამურამდე.

დართული აქვს საქართველოს რუკები (ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან IX-მდე), ქართველ მეფეთა ნუსხები და ქრონოლოგიური ნუსხა.

გონიერი მკითხველისათვის მარტო კართა ეს სახელწოდებანი კმარა ავტორის პოზიციის შესაცნობად...

რაც მთავარია, წიგნი იკითხება გაუნელებელი ინტერესით...

არ მეგულება კაცი, ვისაც მან თავი არ წაკითხოს, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, თვით იმ არაერთი „წმინდა მხატვრული“ წიგნის შესახებ, ყოველწლიურად ასე უხვად რომ გამოდის ჩვენში.

ჩემი აზრით, ლევან სანიკიძის „დედა ისტორია“ უდავოდ დროული, უაღრესად საჭირო და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი წიგნია (კარგი იქნება, მისი სხვა ენებზეც თარგმნა).

განსაკუთრებით ძვირფასი საჩუქარია იგი ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ვინაიდან, მე რამდენადაც ვიცი, ჩვენს სასწავლებლებში (საშუალოშიც და უმაღლესშიც) საქართველოს ისტორიის სწავლება ერთობ შეზღუდულია; არადა, უამისოდ (საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნის გარეშე) ყოვლად წარმოუდგენელია ახალგაზრდობაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება.

ლევან სანიკიძე თავის „დედა-ისტორიას“ ამთავრებს თავისებური მოწოდებით, რასაც მართლაც ყველამ უნდა დაუჭიროს მხარი: ყოველ 12 სექტემბერს ყოველმა ქართველმა გაიაროს გზა თბილისდან წიწამურამდე — ილიას უკანასკნელი გზა. უპრიანი იქნება ამ კეთილ, სამამულო ტრადიციას საფუძველი დაედოს წელსვე, სწორედ ილია ჭავჭავაძის დიდ საიუბილეო წელს.

ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ სეზონზე ეროვნული ხელმე სადამიანი, ეროვნული მსმენელს ჭეშმარიტ ესთეტიკას აზიარებენ და სამუდამოდ ჩარჩება მეხსიერებაში. სწორედ ასეთი იყო **სსრ კავშირის სახალხო არტისტის ლამარა ჭყონიას კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში**, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა.

ამ მომღერალმა უკვე დიდი ხანია თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საბჭოთა საშემსრულებლო ხელოვნების გამორჩეულ წარმომადგენელთა შორის: მას აღტაცებით უცქერიან ტაშს მსმენელები არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. იგი ჩინებულად ფლობს თავის ხმას, მომადლებული აქვს სცენური მომხიბლაობა და არა ისტიზმი, საოცრად ფაქიზი მუსიკალურობა და დახვეწილი გემოვნება, რამაც საშუალება მისცა საოპერო სცენაზე დაუვიწყარი სახეების მთელი გალერეა შეექმნა. მაგრამ ლ. ჭყონიას, როგორც ოპერის მსახიობის, პოპულარობა სრულიადაც არ ჩრდილავს მას, როგორც კამერულ მომღერალს. უფრო მეტიც, უზადო ვოკალიზაცია, გულწრფელობა, პოეტური და სანუკვარ ტექსტის ერთიანად სახედ ჰარმონიული შერწყმა საშუალებას აძლევს მნიშვნელოვანი წვლილი გაიღოს ურთულესი კამერული საშემსრულებლო სფეროს განვითარებაში.

ზემოხსენებული კონცერტის პროგრამაში მომღერალმა შეიტანა სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და ჟანრის ნაწარმოებები. პირველ განყოფილებაში შესრულდა ბახის ორი არია („იდანე, ცრემლო!“ № 21 კანტატიდან და „სული ხარობს“ № 68 კანტატიდან), მოცარტის „იავნანა“, რომელიც ძალზე გულწრფელად და გულში ჩამწვდომად იმღერა, პერგოლეზის „Se tu mammi“. და ძველი იტალიელი კომპოზიტორის კარჩინის „ავე მარია“, რომელმაც ყველა მოხიბლა. მომღერალს ხმა ღრმად და სათუთად ერწყმოდა ფორტეპიანოს, გობოისა და ორგანს, და თავშეკავებული, სულის შემძვრელი ტანჯვა-წამების სურათს ქმნიდა.

მეორე განყოფილებაში მსმენელები, მართლაც, რომ, მოაჯადოვა ჩაიკოვსკის რომანსების შესრულებით — რა თქმა უნდა, საქმე მარტოოდენ სახეში ღრმა წვდომა კი არ იყო, არამედ უზადო და ფაქიზი შესრულება.

ამ კონცერტმა ერთხელ კიდევ დადასტურა, რომ რუსული ვოკალური ლირიკის შესრულებაში დიდად არის დაოსტატებული ლამარა ჭყონია: იგი ახერხებს ნაწარმოების ეროვნული სულის გადმოცემას, რაც დიდ ხელოვნება წყვდრია.

მადლიერი მსმენელნი დიდხანს უკრავდნენ ტაშს და ზოგიერთი სიმღერა რამდენჯერმე გაამეორებინეს.

როცა ლ. ჭყონიას კონცერტზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ აკომპანიატორებიც გობოისტი გ. ბერიძე, ორგანისტი გ. მეშვილიშვილი და პიანისტი ირინე პრილიპკო.

და ბოლოს, გვინდა მკითხველს ვუთხაროთ, რომ **კონცერტის მთელი შემოსავალი ჩვენი რესპუბლიკის სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხა.**

Ტ. ᲮᲐᲜᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲜᲘᲭᲘᲗ ᲛᲝᲔᲚᲕᲐᲠᲔ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲜᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ თავისუფლებამ!

ეროვნული დამოუკიდებლობამ!

არიან დეკადენტები ეროვნული ეროვნული საფიქრალი“ არ ეფიქრებათ.

ხოლო ქართველმა ხალხმა მთელი თავისი ისტორია სწორედ ეროვნული გადარჩენის, ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლაში გამოატარა.

ვიკენი თუ არ ვიკენი ვითარცა ერი ხვაე, ზეგ, მერმისს? გადავრჩები თუ ვერ გადავრჩები, ვიარსებებ თუ ვერ ვიარსებებ?! აი, მარადიულ შემარყეველი საფიქრალი და „საკითხავი“ მცირერიცხოვანი ერებისა.

მაგრამ დანასისხლად გადამტერებული საისტორიო ბედისწერისაგან ქართველ ერს მაინც გასდევდა ეს „იღბალი“; ყოველ უმძიმეს ეროვნული ყოფნა-არყოფნის მდგომარეობათა შექმნის ჟამს უნდა გამოჩენილიყო ვინმე „ეროვნული წინამძღოლი“, „მოძღვარი“, „ერისმთავარი“, „მესაჭე“, „ბელადი“, გვირგვინოსანი თუ უგვირგვინო „მეფე“, რომელიც „ზეგარმო ნიჭით“, უტყუარი აღლოთი და გერშით, ვითარცა მოსე, უწინამძღვრებდა და გამოიყვანდა მშობელ ხალხს უეჭველი დაღუპვის მარგუნებელი სამყაროდან.

მაგრამ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე ძნელი იყო „ერის მთავრობა“, „ერისმოძღვრობა“, „ერისმწყემსობა“, ძნელი იყო, რადგან უამრავი „იზმით“ ავსებულიყო აზროვნების ბედისწერით აბანილი ეს დრო-ჟამი: კაპიტალიზმი, იმპერიალიზმი, კოლონიალიზმი, მილიტარიზმი, ანარქიზმი, ვარიბმი, შოვინიზმი, ნაციონალიზმი, მონარქიზმი, პარლამენტარიზმი, ანტაგონიზმი...

და, ვინ მოთვლის კიდევ — რამდენი „იზმი“?!

ხოლო, ყოველი — „იზმი“ თავის საკუთარ, თავის სასისხლოს მოითხოვდა: დიახ, სისხლს! კაცისშვილის სისხლს!.

მცირერიცხოვანი ერები კი განსაკუთრებით ზარაღდებიან მსოფლიო „იზმებისათვის“ უზღვავი სიხლის გაღებით.

მცირერიცხოვანი და აქტიური ერები!..

საქართველოს კი არასოდეს, მთელი მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, არ დაუთმია „მსოფლიო აქტიურობა“. არასოდეს იგი არ ყოფილა მხოლოდ გეოგრაფი მეთვალყურე და „გამოწყვეტილი“ მაჩანჩარა რაიმე და რომელიმე მსოფლიო მოვლენისა, მსოფლიო მოძღვრებისა, იდეისა, ნოვატორული თუ რენესანსული მსოფლიო ინტელექტუალური მიღწევისა. გამოწყვეტილა კი არა, უბრალო „მიმდევრობას“, თუნდაც კეთილშობილურ ეპიგონობასაც არ კმარისობდა და არ „კაღრულობდა“ ქართველი კაცი. იგი მთელი არსებით, სულისა და ხორცის სრული

„ᲕᲘᲐ ᲓᲝᲚᲝᲠᲝᲖᲐ“

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ

შეწირვით უნდა მისცემოდა ყოველ მსოფლიო მოვლენას და, რაკ მთავარია, უნდა მისცემოდა საკუთარი ეროვნული სულის განფენილობოთ, გამორჩეული „კაზუსის“ დონეზე აყვანილი ეროვნული ნოვატორობით და „თვითმყოფობით“.

ასეთი იყო ქართველი კაკი — მუდამ „მსოფლიო აქტიურობით“ და ყოველ მსოფლიო „მოძრაობაში“ უაღრესი ეროვნული „ნოვატორობით“. ასეთი იყო იგი ძველ საუკუნეებში, ასეთი იყო შუა საუკუნეებში, ასეთად ვარჩა ახალ საუკუნეშიც.

მეცხრამეტე საუკუნე მსოფლიო „იზმების“ ჯიუტ-ცხელებას მოეკვა და საქართველოზ, — ვითარცა მსოფლიო — გლობალურ მოვლენათა უაღრესად აქტიური ნაწილი („ეხელი წერტილი“!) — იმავე ჯიუტ-ცხელებით იყო შეპყრობილი.

ძნელი იყო მაშინდელ საქართველოში „ერისმთავრობა“ და „მწყემსმთავრობა“, ძნელი იყო, რადგან ბევრი იჩემებდა „ერისმთავრობას“, „მწყემსმთავრობას“, „ბელადობას“, „მესაჭეობას“და სხვათა მისთანათა.

ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐ ᲑᲐᲠᲓᲐᲡᲣᲚ ᲓᲦᲔᲗᲐ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ

ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ დღეებსა და კვირაში, — მოგვითხრობს მაურო გალენი თავის წიგნში,—მტერი სულ უფრო მეტი გაადფთრებით უტევდა პარტიზანებს. შემდეგ კი ხეობაში ესესელთა დიდძალი მაშველი ჯარი შემოვიდა. მაგრამ არსებითს შედეგებს ვერ მიაღწიეს.

გერმანელები ღამით ვერ ბედავდნენ მთებში ბრძოლას. გაბისონია და მისი რაზმი კი მოხერხებულად სარგებლობდნენ სიბნელით და ბრიგადის სარდლობასთან შეთანხმებით გაბედულად მოქმედებდნენ მტრის ზურგში — ხან რკინიგზის სადგურს დაეცემოდნენ, ხან ხიდს აფეთქებდნენ, ხანაც პროდუქტებისა და იარაღის საწყობებს დარევდნენ ხელს ქალაქ ბესოლენოში...

სწორედ ამ პერიოდში გერმანელებმა მთელი სუზის ზონაში გამოაკრეს განცხადებები: ვინც ვლადიმერ გაბისონიას ცოცხალს შეიპყრობს, 200 ათას ლირას მიიღებს, ხოლო ვინც მის თავს მოიტანს — 100 ათას ლირასო. ეს თანხა იმ დროისათვის დიდი ფული იყო.

მაგრამ ვალოდიას მოხელეთება ადვილი არ იყო. იტალიელმა ხალხმა შეიყვარა იგი. მასზე ლეგენდები დადიოდა, სიმღერებიც შეთხზეს...

როდესაც ფაშისტები 42-ე ბრიგადასთან ვერაფერს გახდნენ, მათ იერიში მიიტანეს პარტიზანულ ბატალიონ „სტელინაზე“, რომელიც „სიმართლე და თავისუფლებას“ მე-4 დივიზიის შემადგენლობაში შედიოდა და ბალმაფოლის ალპური საძოვრების — სტემიის ზონაში იყო გაფანგული. იტალიელთა ეს რაზმი გერმანელთა დიდმა შენაერთმა ალყაში მოიქცია და მას უცილობელი განადგურება ელოდა. მეთაურმა ლაგმა დახმარება სთხოვა 42-ე ბრიგადის სარდლობას. ვალოდიამ ბატალიონის მეთაურ ჯოვანი პეიროლოსაგან, რომლის მოადგილედაც იგი ითვლებოდა, სასწრაფო დავალება მიიღო — დახმარებოდა იტალიელ პარტიზანებს. თან სამი მეგზური გამოუგზავნა.

45-კაციანი რაზმით გაბისონია დაუყოვნებლივ გაემართა სტემიისაკენ. მიუვალი, ციცაბო კლდეების გავლით საბჭოთა მეომრებმა რამდენიმე საათში დალაშქრეს ბალმაფოლის მწვერვალი და იქედან სწრაფად დაეშვნენ ალპური საძოვრების ზონაში — სტემიის ველზე. მტერს სამი მხრიდან შეუტიეს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მთელი ათასეული გადასულიყო შეტევაზე. საბჭოთა რაზმის გამოჩენაზე იტალიელებიც გამხნევდნენ და ხელი გამოიღეს. გერმანელები და შავხალათიანები მეჯოგეთა ქოხებში გამაგრდნენ და იქედან იცავდნენ თავს. ბრძოლა გვიან საღამომდე გაგრძელდა. მაგრამ მისი ბედი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. მაშინ ვალოდიამ ეშმაკობას მიმართა და ომახიანად დასჭექა: „რუსულო ბატალიონო, წინ შეტევაზე!“ იგრიალა რუსულმა „ურამ“. მოწინააღმდეგის რიგები ირია, ხოლო სულ მალე მათ იარაღიც დაყარეს.

სტემიის ველზე ვაჟკაცურად დაიღუპნენ საბჭოთა პარტიზანი ვლადიმერ ჟუკოვი, აკრეთვე სამი იტალიელი. დაიჭრა ნიკოლოზ რობაქიძე. მოწინააღმდეგემ 30 ჯარისკაცი დაკარგა.

უფრო მოგვიანებით სანდრო ჩამეი წერდა: „ვალოდია გაბისონია მეთაურობდა სტემიის ბრწყინვალე ბრძოლას. 45 კაცით მან დაატყვევა 168 ფაშისტი, ხელთ იგდო ორი მძიმე ტყვიამფრქვევი, 16 ტყვიამფრქვევი, 1 ნაღმტყორცნი, 45 ავტომატი, სხვა იარაღი და საჭურველი“.

ამ ბრძოლამ გადაწყვიტა ბალმაფოლის ოპერაციის ბედი. საბჭოთა რაზმის მამაცობით აღფრთოვანებული იტალიელი პარტიზანები ყველა მიმართულებით გადავიდნენ შეტევაზე და სულ მალე ბალმაფოლის ფერდობები ფაშისტებისაგან გაწმინდეს.

ბალმაფოლის ბრძოლებში საბჭოთა პარტიზანების წარმატება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი მთელი ტურინის ოლქს მოედო. ხალხი ზეიმობდა გამარჯვებას. გაბისონია ბალმაფოლის გმირად აღიარეს. „ვლადიმერ რუსი იტალიის მერცხალია, სულ წინ არის და ყველგან იმარჯვებს, ძალზე კარგი მეთაურია“... მეღროდნენ იტალიის სოფლებში.

მაგრამ სრული გამარჯვება ჯერ კიდევ შორს იყო. საბჭოთა რაზმის მებრძოლებს, — წერს მაურო გალენი, — არ ჰქონდათ არც ერთი წუთი სულის მოსათქმელად. სექტემბრის პირველ რიცხვებში ლანცოს ხეობიდან მათ ტყვედ წამოიყვანეს 100 გერმანელი და ხელთ იგდეს დიდძალი საჭურველი. მამაცობისა და გამბედაობისათვის 42-ე ბრიგადის სხვა რაზმები ხშირად მიმართავდნენ საბჭოთა მებრძოლებს თხოვნით მონაწილეობა მიეღოთ სუზა-პიემონტის საფრანგეთთან დამაკავშირებელი ტურინ-მოდენის რკინიგზის ხაზის საბოტაჟის ელვისებური ოპერაციების განხორციელებაში“.

თვითონ ვალოდია სიამაყით იგონებს რკინიგზის სადგურ ბრუცელოზე თავდასხმის ეპიზოდს:

ეს მოხდა 1944 წლის შემოდგომაზე. 35 პარტიზანი, ძირითადად ქართველები, რამდენიმე რუსი და იტალიელი, სადგურ ბრუცელოში ტურინდან მომავალ სამგზავრო მატარებელს ჩავუსაფრდით. ყველაფერი წინასწარ საგულდაგულოდ გვქონდა შესწავლილი და გაანგარიშებული. ვიცოდით ვაგონების რაოდენობა, ორთქლმავლის გაჩერების დრო და ზუსტი ადგილი. რაზმი ისე განვალაგე, რომ თითოეულ ვაგონს სამ-სამი მეავტომატე ჩაუსაფრდა, შემადგენლობის წინ და ბოლოში — თითო მეტყვიამფრქვევე თვიანთი თანაშემწეებით, მე კი ორთქლმავალს გაჩერებასთან დაველოდე.

ის იყო მატარებელი ჩერდებოდა, რომ გერმანელმა ოფიცერმა, რომელიც ორთქლმავალში იჯდა, შეგვამჩნია და მემანქანეს უბრძანა სვლა განეგრძო. სწორედ იმ წამს ორთქლმავალს ხელუუბარა ვესროლე, გერმანელებს ეგონათ რკინიგზა დანაღმულიაო და მატარებელი გაჩერეს.

ბიჭები ელვის სისწრაფით შეცვივდნენ ვაგონებში. მეზავრებს უბრძანეს ჩამოსულიყვნენ. იტალიელმა ფაშისტებმა იარაღი უბრძოლველად დაყარეს, გერმანელებმა კი სროლა აგვიტეხეს. პარტიზანებმაც ავტომანქანის ჯერით უპასუხეს, რვა ოფიცერი გამოვასალმეთ სიცოცხლეს, თორმეტი მაღალი ჩინისა კი ტყვედ ჩავიგდეთ. ორთქლმავალი და ვაგონები ხელაუბარებით ისე დავლეწეთ, რომ მატარებლის ეს შემადგენლობა ფაშისტებმა სამი დღე ადგილიდან ვერ დაძრეს, რკინიგზაზე მოძრაობა დიდი ხნით შეფერხდა...

ამ ბრძოლაში დაიჭრა მეტყვიამფრქვევე თეოდორე ზაიცევი. თავი გამოიჩინა გრიგოლ პატაშურმა. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

სანდრო ჩამეი 1945 წლის 15 მაისს ვალოდიასათვის მიცემულ დახასიათებაში წერდა: — „როგორც რუსების მამაცი რაზმის მეთაური და როგორც ძალზე პატიოსანი ვაჟკაცი, იგი არასოდეს იტოვებდა მტრისათვის წართმეულ ნადავლს, და როგორც წესი, შტაბს ამარებდა, რითაც საერთო საქმისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას ავლენდა“...

ერთხელ ექვსკაციანი რაზმით გერმანელი ჯარისკაცებით გაჭედილ სატვირთო ავტომანქანას ჩაუსაფრდნენ. იგი ჯერ ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეაჩერეს, ხოლო შემდეგ ალექსანდრე კობახიძემ მას გერმანული ხელაუბარაც მიაყოლა, რომელზეც ხუთი ამაფეთქებელი იყო გამობმული. ავტომობილი თავისი მგზავრებითურთ ამოტრიალდა. ამასობაში ბრძოლაში გართულ პარტიზანებს მტრის მსუბუქი ავტომანქანები მიადგნენ. გერმანელებმა ავტომატის ჯერით დაცხრილეს მამაცი მებრძოლი ალექსანდრე კობახიძე. შეტაკების დროს მსუბუქად დაიჭრა ვალოდია გაბისონიაც.

პარტიზანები სიმინდის ყანაში გაუჩინარდნენ. ალექსანდრეს გვამი მოშორებით თხრილში გადამალეს. იმავე საღამოს სოფლებმა იგი კიანოვის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ყველა საბრძოლო ეპიზოდის აღწერა შეუძლებელია. იმავე სანანტონიოს ხიდზე თავდასხმისას, საიდანაც გაბისონია და მისი ძმადნაფიცები ერთი წლის წინათ გაიქცნენ, საბჭოთა პარტიზანებმა ტყვედ ჩაიგდეს 16 ჩეხი ჯარისკაცი, ხოლო ხიდი ააფეთქეს.

„20 ოქტომბერს საბჭოთა რაზმმა ატეხილი მონაწილეობა მიიღო მარგონის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში. აქ დაიღუპნენ ტრუკენკაი და თეოდორე ტარატატოვი. 1945 წლის 16 თებერვალს გერმანელებთან ბრძოლაში დაეცა ნიკოლოზ აბდულაი. ამ ბრძოლებისა და თვით ტურინის განთავისუფლებამდე განხორციელებული სხვა საბრძოლო ოპერაციებისათვის საბჭოთა რაზმის მამაცი მეთაური ვალოდია გაბისონია წარდგენილი იყო ჯილდოზე, — ვკითხულობთ იტალიურ პირველწყაროებში.

იმ დროს ვალოდიას ჯილდოსათვის არ ეცალა, არც იტალიის მაშინდელი ხელისუფლები იწუხებდნენ თავს საბჭოთა მეომრების წახალისებით. მათი ვაჟკაცობა ღირსეულად მხოლოდ იტალიელმა კომუნისტებმა დააფასეს. შემთხვევითი სულაც არ არის ის ფაქტი, რომ ომის დამთავრებიდან 15 წლის შემდეგ საბჭოთა მოქალაქის ვლადიმერ გაბისონიას გარიბალდის ვარსკვლავით დაჯილდოების მოწმობას ხელს აწერს თვით ლუიჯი ლონგო — წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, გარიბალდური შენაერთების მთავარსარდალი, შემდგომში იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი და თავმჯდომარე...

ᲙᲕᲘᲠᲐ დილა იყო, როცა ორ იტალიელ მეგობართან, ყოფილ პარტიზანებთან ერთად ბუსოლენოში ჩავედი. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები წინასწარ ხეირიანად ვერც გავაფრთხილეთ, ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობასთან სულ მალე ასამდე სუზელი, ძირითადად ყოფილი პარტიზანები, შეიკრიბა, მათ შორის ბევრი იყო ნაცნობი თბილისური შეხვედრებიდან.

მუნიციპალიტეტის შენობაში სახელდახელო მიტინგი გაიმართა. იგი გახსნა ბუსოლენის მერმა, ახალგაზრდა ქირურგმა ალდო მილეტომ. ქართველ პარტიზანებზე მოგონებებით გამოვიდნენ სუზის ზონის პრეფექტი ტულიო ბენედიქტი, პარტიზანთა ასოციაციის ზონალური განყოფილების პრეზიდენტი ჯოვანი პეიროლო, სოფელ კიანოვეს მერი ჯანი გასპარე, კიდევ რამდენიმე კაცი.

ქართველ პარტიზანთა კეთილგამორჩეული პოპულარობით მთელ ზონაში მაინც ვლადიმერ გაბისონია სარგებლობს. მასზე მართლაც დადის ლეგენდები. დიდმა და პატარამ ზეპირად იცის, სად და როდის დახვდა მტერს, როგორ დაუშვა კლდის მწვერვალიდან გერმანელთა თავზე ქვა და ლოდი, როგორ მოატყვა ფაშისტების დიდი შენაერთი რუსული „ურათი“ და მცირერიცხოვანი რაზმით როგორ დააყრეინა მათ იარაღი... ხან ავტობუსით, ხანაც ფეხით მთელი დღე დამატარებდნენ მთებსა და ხრიოკებში და სიამოვნებით მაჩვენებდნენ ნამარ ადგილებს, მეჯოგეთა ქოხებს, სადაც ვალოდია და მისი რაზმი ღამეს ათევდნენ, სოფელ პაგალიონეში აქა-იქ საცოდავად შემორჩენილ სახლებს, უკვე ნასოფლარს, სადაც ერთ დროს წვიმასა და თოვლში გათოშილი, დამშეული მეომრები იტალიელი გლეხის ბინაში ყველა ერთსულოვანი იყო, ადრეც ბევრი მსმენია, მაგრამ ამ დღემ მთლიანად დამარწმუნა, რომ ქართველების სახელი აქ მართლაც ლეგენდად შერჩენილა. მოსახლეობა სათუთად ინახავს ამ ზონაში დაღუპული მეომრების შიო სართანიას, ალექსანდრე კობახიძის, ლადო მეგრელიშვილის, ფირუზ ბაღაღოშვილის, ბოჩია აკობიას, შოთა ნამიჩეიშვილის, საშა კუპრაშვილის, ვახტანგ გაგნიძისა და სხვათა ხსოვნას. იმ თაობის მეხსიერებას კარგად შემორჩა ნოე კუბლაშვილის, ვასო ურუშაძის, ვარლამ რევეას, ბორის შურდაიას, შალვა მუნჯიშვილისა და სხვა ქართველი პარტიზანების საბრძოლო საქმენი.

ქართველი პარტიზანების პატიჟისცემისა და სიყვარულის ნიშნად სუზის მაღლიერმა მოსახლეობამ 1979 წელს სოფელ კანდოვეში, რომელიც ტურინ-საფრანგეთის მაგისტრალზე მდებარეობს, ერთ დიდ ახალ ეუჩას „ვია პარტიჯანი ჯორჯიანი“ (ქართველ პარტიზანთა ქუჩა) უწოდა და ამის აღსანიშნავად დიდებული მემორიალიც დადგა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲛᲐᲛᲐ-ᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲚᲝᲚᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲚᲣᲘᲯᲘᲜᲐ ᲒᲐᲑᲘᲡᲝᲜᲘᲔᲑᲘ — 1945 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲘ, ᲢᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲑᲠᲣᲪᲔᲚᲝ; 1982 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲝᲒᲔᲒᲘᲙᲝᲠᲘ.

ᲘᲒᲘ ახლაც ჭარმაგად გამოიყურება. უცქერი ამ ბრგე, ახოვან ვაჟკაცს, თმებში ვერცხლი რომ მოსძალებია, და ერთი წუთითაც არ გეპარება ეჭვი, რომ 40-45 წლის წინათ კი არა, იგი დღესაც არ დაუდგებს ტოლს არც ერთ ახალგაზრდას. გუელიც ძველებურად ერჩის და მკლავიც მოჰყვება. ერთია მხოლოდ, პარტიზანობა აღარ სჭირდება — ცხოვრობს და შრომობს თავის მშობლიურ რაიონში, გეგეკორში.

ომიდან დაბრუნების შემდეგ ოჯახს, დიდხანს არ ეკიდებოდა. გულისყური მაინც იქით, იტალიისაკენ ჰქონდა — იქ ხომ ცოლი და ქალაშვილი დატოვა...

გახსოვთ, ალბათ, დასაწყისში პარტიზანი ქალიშვილები ვახსენე, სანდრო ჩამეის დავალებით სახანტონიოს ხიდიდან გაბისონიასა და მისი ამხანაგების განთავისუფლებაში რომ მიიღეს მონაწილეობა. ერთი მათგანი, პერინა კასტელინო, ვალოდიას მაშინვე ჩაუვარდა გულში. ახალგაზრდებს ძალე შეუყვარდათ ერთმანეთი და შემდეგ, ქალის მშობლებისა და ძმების თანხმობით, რომლებიც ასევე პარტიზანები იყვნენ, პერინა ქართველების რძალი გახდა. 1944 წლის ნოემბერში მათ შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც ლუიჯინა დაარქვეს.

ექვსი თვის იყო ლუიჯინა, ომი რომ დამთავრდა და მამა სამშობლოში გამოემგზავრა. ვალოდიას სწამდა და პერინასაც აიმედებდა, რომ სულ მალე მთაც გაიწვევდა საქართველოში. მაგრამ ოცნებას ახდენა არ ეწერა. მძიმე დრო იყო მაშინ!

მოგვიანებით, როცა ყველა იმედი ამოიწურა, ვალოდია ახალ ოჯახს მოეკიდა. ბედნიერებამ მის ჭერქვეშაც დაისადგურა. მაგრამ იმ ბაწყინკნა გოგონაზე ფიქრი, რომლის სურათს გულისჯიბით დაატარებდა, მოსვენებას არ აძლევდა. ასე გავიდა თითქმის ოთხი ათეული წელიწადი.

...თექვსმეტი გაზაფხულია უკვე იტალიელი პარტიზანები, ძირითადად ფორე მოსულიშვილის თანამებრძოლები ნოვარის პროვინციიდან, თავიანთ ქართველ თანამებრძოლებთან ერთად მაისის დღესასწაულობის აღსანიშნავად საქართველოში ჩამოდიან. 1981 წელს ნოვარელებს პირველად ჩამოყვნენ თბილისში ტურინელი პარტიზანები ვალ დი სუზიდან. დამზედურთა შორის თავიანთი საოცნებო გმირი, ძველებურად შემართებული და საღ-სალამათი ვალოდია გაბისონია რომ დაინახეს, რომელიც, რა დასამალია და უკვე ცოცხალიც აღარ ეგულებოდათ, თვალებს არ დაუჯერეს, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მაშინ ჩაისახა იმედი შვილის პოვნისა.

საქართველო
ფაქტები • მოვლენები

გამოსხმაურებათა მიმოხილვა

უაღრესად საჭირო დიალოგი

წინასწარვე „ისტორიული“ უწოდა ინგლისის პრესამ საბჭოთა კავშირში პრემიერ-მინისტრის მ. ტეტჩერის ვიზიტს. ასეთ შეფასებებს შეიძლება დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს კაცი, მაგრამ ერთი რამ ცხადია — მოსკოვში გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის მოლაპარაკება უაღრესად მნიშვნელოვანი და საჭირო იყო. მან შექმნა შესაძლებლობა, განეხილათ თანამედროეობის მთავარი საკითხის გადაწყვეტის გზები — თუ როგორ შემცირდეს ომის საფრთხე და, უწინარეს ყოვლისა, როგორ მიიღწიონ რაკეტულ-ბირთვული არსენალების შემცირებას.

ამის თაობაზე ორივე მხარის გამონათქვამები მოწმობს, რომ გაღრმავებული აზრთა გაზიარების შედეგად მიაღწიეს ურთიერთგაგებასა და პოზიციების სიახლოვეს ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის საკითხთან დაკავშირებით. ამერიკის გაზეთმა **„ბოსტონ გლობმა“** ამასთან დაკავშირებით კარგად შენიშნა, რომ „საბჭოთა ინიციატივა იძლევა მშვენიერ შესაძლებლობას დაიდოს ხელშეკრულება „ევროპაში

კეტების“ შესახებ, რომელიც შემდგომში გზის გამკვალავი ყინულმჭრელის როლს შეასრულებს“. ითქვა აგრეთვე, რომ მზად არიან ბოლომდე მიიყვანონ მოლაპარაკება ქიმიური იარაღის მოსპობის შესახებ, განაგრძონ ყველა იმ პრობლემის განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის კონტინენტზე ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების აუცილებლობასთან. როგორც ვიტყობინებოდით, ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის მთელ რიგ დოკუმენტებს, მათ შორის მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გამოყენების დარგში თანამშრომლობის, ინფორმაციის, კულტურისა და განათლების დარგში კონტაქტების გაფართოების შესახებ და ა. შ. ამასთან მოლაპარაკების დროს, რა თქმა უნდა, თავი იჩინა უთანხმოებამ, რომელიც სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის არის სხვადასხვა საკითხში. განმარტავს რა ამასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვის გამონათქვამებს, ლონდონის **„ტაიმსმა“** ხაზგასმით აღნიშნა, რომ აქ გამოთქმული კრიტიკის დიდი ნაწილი ეხება „ბირთვული შეკავების“ მთელ სტრატეგიას. ინგლისის

მეორე გაზეთი **„ფაინენშლ ტაიმსი“** წერდა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელმა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა „მტკიცედ დაადასტურეს შეიარაღებისადმი კონტროლისა და ადამიანის უფლებათა პრობლემებისადმი თავიანთი განსხვავებული მიდგომა, მაგრამ ეს ისე ქნეს, რომ ამან ხელი არ შეუშალოს საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას“. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრესის მიმომხილველთა აღიარებით, მ. ტეტჩერს მისცეს თავისი თვალსაზრისის საჯაროდ გამოთქმისა და საბჭოთა ადამიანებთან ურთიერთობის ფართო შესაძლებლობა.

მოსკოვში გამართული შეხვედრის გამო გამოხმაურებების ნაკადიდან გვინდა გამოვყოთ იაპონიის გაზეთ **„ასაჰის“** კომენტარი, რომელშიც, როგორც ვფიქრობთ, მოლიანად არის წარმოჩენილი გამართული დისკუსიის აზრი და მნიშვნელობა. „ეს მოლაპარაკება, — წერს გაზეთი, — გახდა მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგი, რომლის დროსაც წარმობს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობათა ფართო ძიება“.

● ნიკარაგუა

მზადება შეიარაღებული შეჭრისათვის

მანაგუა. ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ამ თვის დამლევს მოეწყობა ცენტრალური ამერიკის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი ამერიკული სამხედრო მანევრები „სოლიდ შილდი“.

როგორც ნიკარაგუის ხელმძღვანელმა თქვა, ეს მანევრები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 50 ათასი სამხედრო მოსამსახურე, საბრძოლო ხომალდი, მათ შორის ავიამზიდი, ნიკარაგუაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული შეჭრისათვის მზადებაა. პარასკევს მანაგუაში ნიკარაგუის ხელმძღვანელი გამოვიდა ვიეტნამში ომის ამერიკელ მონაწილეთა ჯგუფის წინაშე. მან განაცხადა: იმას, რომ რეიგანის ადმინისტრაცია იმედს ამყარებს ცენტრალური ამერიკის კრიზისს სამხედრო გადაწყვეტაზე, შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს როგორც რეგიონის ხალხებს, ისე თვით ამერიკელებისათვის.

● ეუ

მზარდი ოპოზიცია კაპიტოლიუმის ბორცვზე

სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისათვის ახალი სახეობის შეიარაღებული ძალების კანონპროექტის გამო

ვაშინგტონი. სენატორებმა მ. უოლომმა და ო. ჰეტჩმა, აგრეთვე წარმომადგენელთა პალატის წევრებმა ჯ. კემპმა და ჯ. კორტერმა აქ მოაწყვეს პრესკონფერენცია იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ორივე პალატის განსახილველად შეიტანეს კანონპროექტი ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში ახალი სახეობის შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ.

ამ ნაბიჯის მთავარი ამოცანაა, აღნიშნულია დოკუმენტში, „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ განხორციელება. ამ მიზნით უნდა შეიქმნას „ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის ძალები“ და გადაეცეს მათ კოსმოსთან დაკავშირებული არსებულ სახეობათა შეიარაღებული ძალების მთელი სარდლობა.

დოკუმენტის ტექსტის თანახმად, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება დაიხევა, კოსმოსური სივრცის ფართო მასშტაბის მილიტარიზაციის გზაზე აღმართული ყველა დაბრკოლება აღმოიფხვრება. „ძალების“ ხელმძღვანელობას ექნება ყველაზე ფართო უფლებამოსილებანი — განალაგოს რაკეტსაწინააღმდეგო და საჰაერო თავდაცვის ნებისმიერი სისტემები.

ვაშინგტონი, სუპერთანამედროვე დამკვრელი შეიარაღების კოსმოსში გაყვანის გეგმები აწყდება მზარდ ოპოზიციას კაპიტოლიუმის ბორცვზე. წარმომადგენელთა პალატის კომიტეტთან არსებულმა შეიარაღებული ძალების საქმეთა კვლევისა და დამუშავების ქვეკომიტეტმა ხმა მისცა, რომ მომავალ საფინანსო წელს თითქმის ორი მილიარდი დოლარით შემცირდეს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის ასიგნებანი, რომლებიც თეთრმა სახლმა მოითხოვა. გარდა ამისა, აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტი“, ქვეკომიტეტის წევრებმა განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ უნდა დაიცვას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1972 წლის ხელშეკრულების ტრადიციული ინტერპრეტაცია.

ქვეკომისიაში „ენერგიული“ „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისადმი კანონმდებელთა დამოკიდებულების მნიშვნელოვანი შემოწმება“ გახდა.

ნაირ-ნაირი ამბები

მედიცინა

პარკინსონის მკურნალობის ახალი მეთოდი

ვაშინგტონი. თირკმლისზედა ჯირკვლის ქსოვილის პაციენტის ტვინში გადანერგვის ექსპერიმენტულმა მეთოდმა მეტად დადებითი ნაყოფი გამოიღო პარკინსონით დაავადებული ორი მექსიკელის მკურნალობისას. გამოკვლევაში, რომელიც ავტორიტეტული ჟურნალის „ნიუ ინგლანდ ჯორნელ ოფ მედისონის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნდა, ეს წარმატება შეფასებულია როგორც „მნიშვნელოვანი მოვლენა დაავადების მკურნალობის ისტორიაში“, რომელიც ადამიანის ნერვულ სისტემას აზიანებს და დღემდე პრაქტიკულად განუკურნებელია.

ორივე პაციენტი, რომლებსაც შარშან მექსიკელმა ექიმებმა ოპერაცია გაუკეთეს, თავს გაცილებით უკეთ გრძნობს, ვიდრე წინათ. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ამ სენის გამო საგორბელ საგარძელს იყო მიჯაჭვული, ახლა დამოუკიდებლად შეუძლია სიარული და ჭამა, კაფიფად მეტყველებს და თავის ხუთი წლის შვილთან ფეხბურთსაც კი თამაშობს.

მეორე პაციენტსაც, რომელიც ასევე თითქმის 30 წლისაა, სხვის დაუხმარებლად არც წერა შეეძლო და არც ჭამა, კიდურები უკანკალებდა და მეტყველებაც მოშლილი ჰქონდა. ოპერაციიდან 87 დღის შემდეგ, წერს ჟურნალი, კიდურების კანკალი თითქმის მთლიანად შეუწყდა და პაციენტმა შეძლო თავისუფლად ლაპარაკი და სიარული.

მოგზაურობა

ქვეითად... დედამიწის გარშემო

ნიუ-იორკი. კ. ბეტელის (ოჰაიოს შტატი) მცხოვრებმა, 32 წლის ამერიკელმა სტივ ნიუმანმა მარტომ ფეხით შემოუარა დედამიწას. რიცა ნიუმანი, 33,6 ათასი კილომეტრი სიგრძის გზის გავლის შემდეგ, მშობლიურ ქალაქში ჩავიდა, მას საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. მუნიციპალიტეტმა ეს დღე ოფიციალურად დღესასწაულად გამოაცხადა, ხოლო მოგზაური საპატიო მოქალაქედ აირჩია.

ნიუმანმა დედამიწის გარშემო ქვეითად მოგზაურობა 4 წლის წინათ დაიწყო. მან გადაკვეთა ოთხი კონტინენტი, გაიარა ევროპის, აფრიკის, აზიის, ავსტრალიისა და ჩრდილოეთ ამერიკის 22 ქვეყნის ტერიტორია. ნაბიჯმზომის მეშვეობით, ნიუმანმა გამოიანგარიშა, რომ მოგზაურობის დროს 40 მილიონზე მეტი ნაბიჯი გადაუდგა.

ყოველ სოფელში, სადაც კი ჩადიოდა, მოგზაური სთხოვდა ადგილობრივ მცხოვრებლებს ჩანაწერი გაეკეთებინათ სპეციალურ წიგნში, რომელსაც იგი დამამტკიცებელ საბუთად წარადგენს, რათა მისი მოგზაურობა ოფიციალურად აღრიცხონ გინესის რეკორდების წიგნში.

მეცნიერება და ტექნიკა

ლაზერული საზომი

ვარშავა. ერთ კილომეტრზე შეუძლია აღრიცხოს ჰაერის ნებისმიერი გაჭუჭყიანება ახალ ორიგინალურ ხელსაწყოს, რომელიც პოზნანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერებმა შექმნეს. ეს არის გარემოს გაჭუჭყიანების ლაზერული საზომი, რომელიც პოლონეთში პირველად შემუშავდა. მასში ლაზერული სხივი არა მარტო ლაკმუსის ქაღალდის, არამედ ინფორმაციის გადამცემი არხის როლსაც ასრულებს. ხელსაწყოს მნიშვნელოვანი უპირატესობა ის არის, რომ მას შეუძლია საჭირო სიზუსტე აიღოს გაჭუჭყიანების წყაროდან მნიშვნელოვან მანძილზე.

ფოტოინფორმაცია

● **ინგლისი.** წლეულს სრულდება სახელგანთქმული მაძიებრის შერლოკ ჰოლმსის შესახებ არტურ კონან დოილის მოთხრობათა პირველი წიგნის გამოსვლის 100 წლისთავი. ამ ხუთიათზე აღბეჭდილია ჯეინ ბროუმენტი — სერ არტურ კონან დოილის (რომლის პორტრეტიც კედელზე კიდია) ქალიშვილი. ახლა 74 წლის ჯეინი მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ავტორის ოჯახის ერთადერთი ცოცხალი წევრია.

კამერა პრესაბჭდისის ფოტო.

● **რანგუნი** ბირმის დედაქალაქი და მთავარი ნავსადგურია, რომელიც ამავე სახელწოდების მდინარეზე მდებარეობს ანდამანის ზღვის მოუტამის ყურის მახლობლად.

აქ 2,6 მილიონამდე კაცი ცხოვრობს. მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ტრადიციული მხატვრული ნაწარმის დამზადებას და სხვა ხალხურ რეწვას მისდევს. რანგუნი ცნობილია მრავალრიცხოვანი ისტორიული ძეგლებით, მუზეუმებითა და ტაძრებით.

სურათზე: ნორჩი რანგუნელი.

საკ.ფესის ფოტო.

● **ინდოეთი.** ინდოეთის ეროვნული ბიბლიოთეკა ბანგალორში ინდოეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ინფორმაციოლოგთა ასოციაციის ინიციატივით ორგანიზებულ ბიბლიოთეკარ-ინფორმაციოლოგთა ეროვნულ ასოციაციასა და ინდოეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ინფორმაციოლოგთა ასოციაციის ერთობლივ ძალისხმევას ეფუძნება. ბიბლიოთეკა ინდოეთის ეროვნული ინფორმაციული ცენტრის ფუნქციებს ასრულებს